ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №15
(კონსოლიდირებული ტენდერიCON170000078)

ქ. თბილისი 14 მარტი 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის N 36 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, მაია კვინიკაძის სახით, და მეორე მხრივ, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა" (შემდგომში "მიმწოდებელი"), A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის №2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2017 წელს საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2336 განკარგულების საფუძველზე , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" 144.80(ასორმოცდაოთხილარიდა80თეთრი)საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი" - ,,მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სამოქალაქო მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი (CPV-30197630) (შემდგომში - „საბეჭდი ქაღალდი"), რომელიც აკმაყოფილებს 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000078)სატენდერო დოკუმენტაციითა და დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 20(ოცი) შეკვრა.

2.3 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 144.80 (ასორმოცდაოთხილარიდა80თეთრი)_ლარს.

3.2 ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 7.24(შვიდი ლარი და 24თეთრი) ლარს.

4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე: ქ. თბილისი, სხულუხიას ქ. №4 , (დასაწყობების გარეშე) .

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

5.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა

5.3 სატენდერო კომისია ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ საბეჭდი ქაღალდის შემოთავაზებულ ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის ერთეულის ფასის ცვლილება.

6. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ეტაპობრივად/ ერთჯერადად,

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ყოველი შემდგომი მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან (წარედგინოს წერილობითი ფორმით) არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

გ) უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ.თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის ტერიტორიაზე ერთჯერადად მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 25 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული საბეჭდი ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით.

დ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) 2017 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენიდან ერთი კვირის

განმავლობაში არ დადოს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
6.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.
ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.
6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას.

ბ) სატენდერო კომისიას მიმართოს, შესაბამისი დასაბუთებით, საბეჭდი ქაღალდის ხარისხის გაუარესების თაობაზე, კომისიას უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.
გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.
დ) ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის მთლიანი ღირებულების 1%-ს.

7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

7.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
7.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.05%.
7.4 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.
7.5 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

10. სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 14 მაისამდე, მაგრამ საქონლის მიწოდების ვადა არაუგვიანეს 2018 წლის 14 მარტის ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „№ 36 საჯარო სკოლა“
ქ. თბილისი, სხულუხიას ქ. № 4
ს/კ: 202 887 661
ტელ.: 577 338 266, 295 32 64
.geელ. ფოსტა: tbilisi36@mes.gov
ბანკი ს.ს . “ლიბერთი ბანკი”
BIC კოდი: LBRTGE22
ა/ა: GE85LB0121113040839000

დირექტორი

მიმწოდებელი:

ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“
ქ. თბილისი, აღმაშენებლის №55/1
(კიევის ქუჩა #1)
ს/კ: 01009005243
ტელ.: 2 96 19 31; 599 94 45 17;
ელ-ფოსტა: vesta.gk@gmail.com
სს „საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE75BG0000000888000801

ი.მ. გიორგი კანდელაკი

დანართი N1

უმაღლესიხარისხისსაბეჭდიქაღალდისტექნიკურიმაჩვენებლები

1	ქაღალდისსრულიდასახელება (ბრენდი)	DoubleA
2	მწარმოებელიქვეყანა	ტაილანდი
3	გრამაჟი (გრ/მ2)	80
4	სისქე (UM)	107
5	სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერისხივებისგათვალისწინებით –%)	165
6	გაუმჭვირვალობა (%)	>95
7	სიკაშკაშე (%)	>98
8	ზედაპირისხაოიანობა (ML/MIN)	<150
9	შეკვრაშიფურცლებისრაოდენობა	500

მიმწოდებელი:

ი.მ. „გიორგი კანდელაკი-ვესტა"

VESTA
01009005243
TBILISI. PRIVATE ENTERPRISE "GEORGE KANDELAKI - VESTA"

მიღება–ჩაბარების აქტი: №1

14 მარტი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ „ქალაქ თბილისის N 36 საჯარო სკოლა“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია კვინიკაძის სახით "შემსყიდველი" და მეორე მხრივ, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“ - „მიმწოდებელი“ ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2018 წლის 14 მარტს დადებული № 15 ხელშეკრულების (საქონლის შესყიდვის შესახებ) თანახმად, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“-ს მიერ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება (მიწოდებული იქნა 20 შეკვრა A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი „Double“, კონსოლიდირებული ტენდერით (**CON170000078**), ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილას და ვადებში) და მიწოდებული საქონლის ღირებულება 144.80(ასორმოცდაოთხილარიდა80თეთრი) ლარი ექვემდებარება ანაზღაურებას სსიპ „ ქალაქ თბილისის № 36 საჯარო სკოლის “ მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

"შემსყიდველი"

სსიპ „„ქალაქ თბილისის N 36-საჯარო სკოლა“

მაია კვინიკაძე

"მიმწოდებელი"

ი/მ „გიორგი კანდელაკი – ვესტა"

გიორგი კანდელაკი

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0364519811

2	14/03/2018

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	17:33:22

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	გიორგი კანდელაკი-ვესტა	01009005243
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ თბილისის #36 საჯარო სკოლა	202887661
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ. თბილისი აღმაშენებლის 55/1

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	სხულუხიას ქ.4

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	სხვა

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ქსეროქსის (საბეჭდი)ქაღალდი A4 80გრ (500ფ) Double A	ა4და D*A	შეკვრა	20.0000	7.2400	144.8000

13	144.8 - ას ორმოცდაოთხი ლარი და ოთხმოცი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	გიორგი კანდელაკი

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	14/03/2018	18:55:00

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 15/03/2018, 16:17:28